

შპს ჯი ელ ჯი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯი ელ ჯი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ინტენსიფიკაციის ქუჩა ქ.ნაკვეთი 01/213.

მისი ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი აირის რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

8-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე

ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

2019

შემოსავალი რეალიზაციიდან

1430583.07

1430583.07

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ეკოქარდებიდან მიღებულ შემოსავალს 29 086.56 ლარის, საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსავალს 10523.42 ლარის ოდენობით.

6. ფინანსური დანახარჯები

2019

2018

ბანკის სესხის პროცენტი

()

(7798.80)

()

(7798.80)

7. საბიუჯეტო გადასახადები

	2019	2018
გადასახადები	19010.45	19299.84

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო დებიტორები	6580.77	4685.11
	<u>6580.77</u>	<u>4685.11</u>

9. სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

	2019	2018
სასაქონლო- მატერიალური მარაგი	(189 30.77)	()
	<u>(18930.77)</u>	<u>()</u>

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2019 წ.	807987.61	640214.66	1448202.27
შემოსვლა	()	43459.45	43459.45
გასვლა	()	()	()
31 დეკემბერი, 2019 წ.	807987.61	683674.11	1491661.72
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2019 წ.	138292.79	226545.68	364838.47
წლიური ცვეთა	102384.77	91425.68	193810.45
გაუფასურება	()	()	()
გამოკლებული გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	()	()	()
31 დეკემბერი, 2019 წ.	240677.56	317971.36	558648.92
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019 წ.	567310.05	365702.75	933012.80

11. ბანკის სესხი

	2019 ლარი	2018 ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	()	6355
	<u>()</u>	<u>6355</u>

12. საგაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საგაჭრო ვალდებულებები მოიცავს 478554 ლარს, რომელიც გამოსახულია ეროვნულ ვალუტებში (2018 წლის 31 დეკემბრისთვის 236727.38-ის ტოლი იყო).

13. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს 592360.69 ლარს.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები


	2019	2018
ფულადი სახსრები სალაროში	110066.55	33512.51
ფული საბანკო ანგარიშებზე	9058.45	34932.45
	<u>122306.51</u>	<u>68444.96</u>

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: დავით ქუთათელაძე

ხელმოწერა:



შპს GLG-GROUP

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		157456	57404	36164
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	119125	49445	32208
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	9763	4685	1295
გაცემული ავანსები		0	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	18931	0	10
სხვა მიმდინარე აქტივები		9637	3274	2651
გრძელვადიანი გაქტივები		933013	1080090	1150836
ძირითადი საშუალებები	10	933013	1080090	1150836
არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		1090468	1137494	1187000
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		498107	256027	189687
მოკლევადიანი ვალდებულებები	12	478554	236727	156636
საგადასახადო ვალდებულებები	7	19010	19300	33050
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		543	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	6355	183947
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	0	6355	183947
საკუთარი კაპიტალი		592361	875111	813366
საწესდებო კაპიტალი	13	920091	920091	875391
დაუფარავი ზარალი	13	-327730	-44980	-62025
გადაფასების რეზერვი		0	0	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1090468	1137494	1187000

დირექტორი: დავით ქუთათელაძე

ხელმოწერა:



შპს GLG-GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი: 404957187

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვადუტა: დარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	1430583	1584564
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1260097)	(1116407)
საერთო მოგება		170486	468157
სხვა შემოსავალი	4	0	49966
მიწოდების ხარჯები		(187355)	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(223353)	(351742)
სხვა ხარჯები	6	(2144)	(144338)
საოპერაციო მოგება		(242366)	22044

მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(1116)	4996
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(32477)	(7799)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		39611	0
მოგება დაბეგვრამდე		(236348)	19241

მოგების გადასახადის ხარჯი		(1079)	(2596)
მიმდინარე წლის მოგება		(237426)	16645

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(237426)	16645

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		874697	813351
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(282336)	16645
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	44700
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13	592361	874697

დირექტორი:  ათელაძე

ხელმოწერა:

